კონტროლის ლოკუსისა და პიროვნული ნიშნების როლი მორალური ტრავმის პროგნოზირების დროს

ვიკა ალაფიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მისანიჭებლად

პროგრამა: ფსიქოლოგი

მიმართულება: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში ყოველდღიურად იმატებს მორალთან დაკავშირებული გამოწვევები. ხშირია სიტუაციები, რომლებშიც ადამიანის მორალური კოდექსი ირღვევა, რა დროსაც შეგვიძლია ვისაუბროთ მორალურ ტრავმირებაზე. მორალური ტრავმის კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე, მის განცდასა და გამოვლენას არაერთი ფაქტორი უკავშირდება. მოცემულ ნაშრომში განხილულია, თუ როგორ პროგნოზირებს პიროვნული ნიშნები (დიდი ხუთეული) და კონტროლის ლოკუსი მორალური ტრავმის გამოვლინებას. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 162 რესპონდენტი, რომელთა ასაკი 18-დან 80 წლის ჩათვლით მერყეობდა. პრედიქტორებისა და შედეგის ცვლადის საკვლევად გამოვიყენე შესაბამისი კითხვარები. მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ პიროვნული ნიშნებიდან სხვისი ქმედებით გამოწვეულ მორალურ ტრავმას დადებითად წინასწარმეტყველებს გამოცდილებისადმი ღიაობა და ნევროტიზმი, რაც იმას ნიშნავს, რომ რაც უფრო მაღალი ღიაობა და მაღალი ნევროტულობა აქვს ადამიანს, მით უფრო მეტად იქნება სხვისი ქმედების გამო მორალურად ტრავმირებული. თანხმობისადმი მზაობა საკუთარი ქმედებით გამოწვეული მორალური ტრავმის დადებითი პრედიქტორია – რაც უფრო მეტი მზაობა აქვს ადამიანს თანხმობისადმი, მით უფრო მეტად იქნება საკუთარი ქმედების გამო მორალურად ტრავმირებული. ამ უკანასკნელის შემთხვევაში უარყოფითი პრედიქტორი აღმოჩნდა ექსტრავერსია, რომელსაც შესაძლოა ვუწოდოთ მორალური ტრავმისგან დამცავი ფაქტორიც. კონტროლის ლოკუსის შესწავლისას სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ გამოვლინდა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მორალური ტრავმა, პიროვნული ნიშნები, კონტროლის ლოკუსი

Abstract

In the contemporary world, morally challenging dilemmas are progressively increasing on a daily basis. Situations frequently arise where an individual's moral code is violated, leading to the manifestation of moral injury. Given the complex nature of moral injury, its experience and expression are linked to numerous factors. This study examines how personality traits (the Big Five) and locus of control predict the manifestation of moral injury. The sample comprised 162 respondents, with ages ranging from 18 to 80 years. Predictor and outcome variables were assessed using appropriate questionnaires. Data analysis revealed that among the personality traits, Openness to Experience and Neuroticism significantly and positively predicted witness-related moral injury; this indicates that higher levels of openness and neuroticism are associated with a greater susceptibility to moral injury resulting from witnessing the transgressions of others. Conversely, Agreeableness emerged as a positive predictor of conduct-related moral injury, suggesting that individuals with higher agreeableness experience greater moral distress following their own actions. Within the context of conduct-related moral injury, Extraversion was identified as a significant negative predictor, functioning as a protective factor against trauma. Finally, in the case of locus of control no statistically significant relationship was revealed.

Key words: Moral Injury, Personal Traits, Locus of Control

მადლობა

გაწეული შრომისა და დახმარებისთვის მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორ ნინო სხირტლაძეს, რომელიც მუდმივად გვერდით მედგა, აქტიურად იყო ჩართული პროცესში და ყველა კითხვაზე ამომწურავად მპასუხობდა. მისი რჩევა-დარიგებები და რეკომენდაციები დამეხმარა სამაგისტრო ნაშრომის დასრულებაში.

ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო კვლევაში მონაწილე თითოეულ რესპოდენტს, რომლებმაც გამონახეს დრო კითხვარის შესავსებად. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა კვლევის ჩატარება და გარკვეულ შედეგებზე საუბარი.